ბიულეტენი

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის საინფორმაციო ორგანო

№4 (83) ოქტომბერი-დეკემბერი 2017 წელი



„ის ლოცულობდა სამშობლოს ბედზე...“



„შეჩერდით! ორივე მხარეს საქართველოა...“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სიტყვა რუსეთის ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომისა და პატრიარქობის აღდგენის 100 წლისთავის იუბილეზე (02.12.2017.)

თქვენო უწმიდესობავ, ქრისტესმიერ საყვარელო ძმაო, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქო კირილე,

უწმინდესნო და უნეტარესნო პირველიერარქნო ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიებისა,

ყოვლადუსამღვდელოესნო მღვდელმთავარნო, სამღვდელო და სამონოზვნო დასნო,

ძვირფასო სტუმრებო,

ქალბატონებო და ბატონებო,

საქართველოს ეკლესიისა და პირადად ჩემი სახელით ქრისტესმიერი სიყვარულით მოგესალმებით ყველას, მოგილოცავთ და თქვენთან ერთად ვიზიარებთ 100 წლის წინ რუსეთის ეკლესიაში მომხდარი უმნიშვნელოვანესი ფაქტით, – წმიდა სინოდის შეკრებით და ამ სინოდზე პატრიარქის მმართველობის აღდგენით, – გამოწვეულ სიხარულს.

ეს განცდა ჩვენთვის ფრიად ახლობელია, რადგან საქართველოს ეკლესიამაც საკუთარ თავზე გამოსცადა პატრიარქობისა და ავტოკეფალიის გაუქმებით მიყენებული სიმწარეც და მისი მოპოვებით გამოწვეული უდიდესი სიხარულიც.

ჩვენ ერთნაირი ხვედრი გვქონდა ათეისტური რეჟიმის დროსაც და ორივე ეკლესიამ დიდი თავდადებისა და მსხვერპლშეწირული მსახურებით გადავლახეთ ეს უმძიმესი განსაცდელი.

დღეს სხვა რეალობაა. თუმცა ჩვენს წინაშე არსებული გამოწვევები კვლავაც სერიოზულია და, ამასთან, მრავალფეროვანი როგორც სულიერ, ისე პოლიტიკურ, სოციალურ, ეკოლოგიურ, თუ სხვა სფეროში.

მაგალითად, როგორც ცნობილია, რუსეთსა და საქართველოს შორის არსებული დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობის მიუხედავად, ჩვენი ეკლესიები ინარჩუნებენ მეგობრულ დამოკიდებულებასა და ევქარისტიულ ერთობას, მაგრამ სიტუაციის განმუხტვისათვის ეს არ არის საკმარისი. აუცილებელია, შეიცვალოს ვითარება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში და ჩვენს სახელმწიფოებს შორის დამოკიდებულება სამართლიანობასა და ურთიერთპატივისცემას დაემყაროს, რის შესახებაც ჩვენ ადრეც არაერთხელ აღგვინიშნავს. წმ.წერილში ვკითხულობთ: „სიმართლისა და სამართლის ქმნა, მსხვერპლზე უფრო სასურველია უფლისათვის" (იგ. 21;3).

ვიმედოვნებთ, ღვთის წყალობით, სიმართლე და მშვიდობა იზეიმებს.

დღევანდელი დღე, ბუნებრივია, საერო და სასულიერო ხელისუფალთა ურთიერთობის საკითხებზეც გვაფიქრებს. რა თქმა უნდა, ორივე მათგანის მიზანი ღვთისა და ხალხის მსახურება უნდა იყოს, მაგრამ მათ თავ-თავისი სამოქმედო სფერო აქვთ.

როგორც ადამიანი შედგება სულისა და ხორცისაგან, მართლმადიდებლური გაგებით, სახელმწიფოც ასევე წარმოადგენს სასულიერო და საერო მმართველობის ერთობლიობას და, ამასთან, თვითოეულ ი თავისი მიმართულებით მოქმედებს, ოღონდ, ვიმეორებთ, ერთი მიზნისკენ, – ღვთისა და ხალხის ერთგული მსახურებისათვის; ხოლო სადაც ეს ასე არ ხდება, იქ ბალანსი ირღვევა და არასწორ გამოვლინებებს აქვს ადგილი, თუნდაც ისეთს, როგორიც ეს იყო რუსეთის ეკლესიის ცხოვრებაში პატრიარქობის აღდგენამდე.

ჩვენ უნდა ვისწავლოთ წარსულისაგან და აღარ გავიმეოროთ იგივე შეცდომები.

თქვენო უწმიდესობავ, პატრიარქო კირილე, კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ ამ საიუბილეო თარიღს; ვულოცავ მას თქვენი ქვეყნის ხელისუფალთ, სასულიერო დასსა და მორწმუნე ერს და ვუსურვებ თქვენს ეკლესიას თავდაუზოგავი მუშაკობით ბოლომდე შეძლოს ღვთის ჭეშმარიტი გზით სამწყსოს წარმართვა მართლმადიდებლური სამყაროს საკეთილდღეოდ.

„ღმერთმან მშვიდობისამან, დაე, სრულგქმნათ თქვენ ყოველი კეთილი საქმის მისი ნებისამებრ აღსასრულებლად" (ებრ. 13, 20-21).

პატივისცემით

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი
ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი

„შეჩერდით! ორივე მხარეს საქართველოა..."

გასული წლის დეკემბერში ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილი სახელობის სახალხო ლიტერატურულ თეატრის ხელმძღვანელმა იზა ვეფხვაძემ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში წარმოადგინა მონო-სპექტაკლი „ამ მიწის ბედი ჩემი ბედია", რომელიც მიეძღვნა გოდერძი ჩოხელის ცხოვრებასა და შემოქმედებას. საღამოს ჩვენი ცენტრის თანამშრომლები ლეილა თორია, მედეა ზუხბაია, ლეილა ბალბაია და ია პაპასკირი დაესწრნენ. მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა როგორც სპექტაკლის ფორმამ და შინაარსმა, ისე ავტორისა და წამყვანის საშემსრულებლო ხარისხმა. ამან გადაგვაწყვეტინა შეგვეთავაზებინა ქალბატონ იზასათვის ჩვენთვის სისხლხორცეულ თემაზე - საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას ცხოვრება და მოღვაწეობა -ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციის შექმნა. ეს მოხდა გასული წლის დეკემბერში. თითქმის 9 თვე მოანდომა ქალბატონმა იზამ მასალის გაცნობა- შესწავლას და განხორციელდა პატრიოტული სულისკვეთების, ჩვენი დროის დიდი თანამემამულის ჟიული შარტავას პიროვნების შესატყვისი წარმოდგენა „შეჩერდით! ორივე მხარეს საქართველოა."

სპექტაკლი 28 სექტემბერს გაიმართა ქალაქ თბილისში, ტექნიკური უნივერსიტეტის ჟიული შარტავას სახელობის დარბაზში და მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა. წარმოდგენას ესწრებოდნენ ჟიული შარტავას ოჯახის წევრები, მეგობრები, ახლობლები, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელი, ბატონი ვახტანგ ყოლბაია და მთავრობის სხვა წევრები.

„ილ ლოტოსოდა სეძეოთოს ბედზე...“

უკანასკნელი წლების განმავლობაში არ ყოფილა არცერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა, რომელსაც აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი არ გამოხმაურებოდა, არ გამსჭვალულიყო ამ მოვლენის არსითა და იდეით - ამ სიტყვებით გახსნა საღამო არქიმანდრიტმა ადამმა (ახალაძემ) ამა წლის 26 ოქტომბერს.

საღამო შთამბეჭდავი და გამორჩეული გამოვიდა. ამ გამორჩეულობას ორი ფაქტორი განაპირობებდა: ილია ჭავჭავაძის დაბადების 180 წლისთავის აღნიშვნა და ჩვენგან უდროოდ წასული შესანიშნავი პოეტის გენო კალანდიას მონატრება.

ცენტრის კამერული დარბაზი, სადაც დიდი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის საიუბილეო თარიღი აღინიშნა, ერთსულ და ერთხორც შედუღაბებულ ორგანიზმს წარმოადგენდა - აქ შეკრებილი საზოგადოება ერთდროულად ამაყიც იყო და მჭმუნვარეც. ილია ჭავჭავაძისა და გენო კალანდიას „დაწყვილებაც“ შემთხვევითი არ ყოფილა: დიდი ილია დღემდე გვმოძღვრავს და გვიკვალავს გზას ჭეშმარიტებისაკენ, გენო კალანდია კი, როგორც ერთ-ერთი ჭეშმარიტი ქართველი პოეტი, ერთგულად აგრძელებს ილიას ნაანდერძევს.

კიდევ ერთხელ მოვიხიბლეთ თამაზ ტყემალაძის მჭერმეტყველებით, აზროვნების მასშტაბურობით, ქართველთა საფიცარი პიროვნების სისხლხორცეულად წარმოჩენის მცდელობით. ილიას უკვდავი დოქტრინა - „მამული, ენა, სარწმუნოება“ - ასაზრდოებდა ორატორის ემოციურ გამოსვლას.

ილიასა და აკაკის დაშორიშორება ხომ წარმოუდგენელია. ქართველთა ცნობიერებაში ეს ორი ხატება ერთი მთლიანია, მაგრამ რომ არა ილია, შეიძლება ამ ორ ბუმბერაზს სხვადასხვა გზით ევლოთ - დამაინტრიგებელია, არა? საქმე შემდეგში გახლდათ: აკაკის მყარად ჰქონდა გადაწყვეტილი სამხედრო კარიერისთვის მიეღწია, ილიასთან შეხვედრის შემდეგ კი, მან ეს გადაიფიქრა!..

ილია ჭავჭავაძის გენიალურობის დასტურად ნიკოლოზ ბარათაშვილის „აღმოჩენაც“ იკმარებდაო, ბრძანა ბატონმა თამაზმა, განა შეიძლება არ დაეთანხმო?! ილიას აფხაზეთთან ურთიერთობის არაერთ მომენტსაც გაუსვა ხაზი; კოტე აფხაზთან მეგობრობისა და ნათესაური კავშირის შესახებაც ისაუბრა. ესოდენ პიკანტური ეპიზოდების თხრობით თამაზ ტყემალაძემ გულითადი ატმოსფერო შექმნა.

საღამოს შემდგომი მიმდინარეობა დაეთმო შოთა რუსთაველისა და ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიების და პრემია „საგურამოს“ ლაურეატის გენო კალანდიას კრებულის - „საგალობლები უფლისთვის“ - განხილვას. აუდიტორიის წინაშე მოხსენებით წარსდგა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მარინე ტურავა, რომელმაც არა მხოლოდ ამომწურავად, არამედ ხატოვნად ისაუბრა გენო კალანდიას ღვაწლზე, მის პოეტურ შესაძლებლობებსა და თვითნაბად ნიჭზე, რაც განსაკუთრებული სისავსით გამოვლინდა უკანასკნელ ნაწარმოებში - „საგალობლები უფლისთვის“.

პოლიგრაფიულად მაღალი გემოვნებით დასტამბული კრებული, რომელიც ორ წიგნად მიეწოდა მკითხველს, გვაოცებს არა მხოლოდ პოეტური მიგნებებით, მეტაფორათა ნაირგვარობით, არამედ სულიერი კათარზისის ისეთი გამონათებით, რაც მხოლოდ ზეციური მადლით მირონცხებულ შემოქმედთა ხვედრია. ამის შესახებ ჩინებულად აქვს ნათქვამი მაკა ჯოხაძეს: „- როგორ მივიდა, რამ მიიყვანა საგალობლებამდე გენო კალანდია. ასე მგონია, გამუდმებულმა წვრთნამ, რომ სხეულისგან დაცლილიყო, ამაო ფიქრებისაგან, უსაგნო, ფუჭი ოცნებებისაგან და ემპირიული ფუსფუსისაგან განთავისუფლებულიყო. რეკვიემიდან - საგალობლებამდე, სულთა დატირებიდან - სულთა გალობამდე“.

ვფიქრობ, წინათგრძნობის ძლიერმა შემოტევამ შეაქმნევინა ეს მარგალიტები გენო კალანდიას - გულწრფელად გაუზიარა მაკა ჯოხაძემ თავისი განცდები აუდიტორიას.

ასევე გვერდს ვერ ავუვლით რეზო ჭეიშვილის ფრთიან ნათქვამს: „მე მომწონებელი ვარ და არა შემფასებელი და მაინც ეს წიგნი დიდი წიგნია. შიგ ნადებ ლექსებს დავიწყება არ უწერია, რაც არ უნდა ბევრი, ნედლი და ლორთქო ლოტოსი დაგვიყარონ წინ!“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორის არნოლდ გეგეჭკორის მოსაზრებით: „მსგავსი საღამოს სულისკვეთება მთელმა საქართველომ უნდა გაითავისოს, თუნდაც ერთი არსებითი მიზეზის გამო: ამ კამერულმა, ინტიმურმა შეხვედრამაც დაადასტურა - ქართულ გენს, ჯიშს გადაშენება არ უწერია!“

ბატონმა თემურ შაშიაშვილმა გაიხსენა სოხუმში ყოფნის დღეები, ის მეგობრული ატმოსფერო, აფხაზეთისთვის ნიშანდობლივი სტუმართმოყვარეობა, რაც ანდამატივით იზიდავდა ნებისმიერ სტუმარს. განსაკუთრებით გამოკვეთა სამივე ძმასთან - გენოს, რენესა და ზაურთან პოეზიისა და ხელოვნების რაობაზე გადაბმული საუბრები, აზრთა ურთიერთგაზიარება.

სახალხო არტისტმა დიმიტრი ჯაიანმა ძლიერი შინაგანი მუხტით, მოქალაქეობრივი დამოკიდებულებით წაიკითხა სამი ლექსი კრებულიდან, რომლებიც მისთვის კარგად ნაცნობ სოხუმელებს ჭოლა კუკულაძეს,ხათუნაჭურღულიას და ივანე თარბას ეძღვნებოდა.

საღამო ერთგვარად შეკრა და გაამთლიანა კომპოზიტორ-პიანისტ გიორგი შავერზაშვილის მიერ, ქართველ კომპოზიტორთა მელოდიებზე შექმნილმა პოპურმა, რომელსაც ყველა ჩვენგანისთვის ახლობელი ჰანგი - რევაზ ლაღიძის თითქმის ჰიტად ქცეული სიმღერა - „ჩემო კარგო ქვეყანავ“ ედო საფუძვლად.

საღამოს მსვლელობა დაგვირგვინდა 2017 წლის 11 ოქტომბერს დასრულებული პიანისტთა თბილისის მეექვსე საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებულის გიორგი გიგაშვილის გამოსვლით. კონსერვატორიის პროფესორმა რევაზ თავაძემ, თავისი შეგირდის წარდგენისას, საზოგადოებას აუწყა, რომ გიორგი გიგაშვილის გამარჯვება ესოდენ პრესტიჟულ კონკურსში უპრეცედენტო შემთხვევაა, რაც გამოიხატა შემდეგში: პირველად ქართველ შემსრულებელს არამც თუ გაუსწრო, არამედ ვერც გაუტოლდა ვერავინ, წინა კონკურსებში პირველობას სულ უცხოეთიდან ჩამოსული პიანისტები ისაკუთრებდნენ. მეორე რეკორდი - ამ ასაკში ესოდენ შთამბეჭდავი

წარმატებისათვის არავის მიუღწევია და მესამე, ეს არის პირველი შემთხვევა, როცა ათწლედის მოსწავლე გახდა ლაურეატი უმაღლესი მუსიკალური სასწავლებლების სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა შორის. გიორგიმ დიდი შთაგონებით და ტექნიკის უზადო დემონსტრირებით შეასრულა ლისტის „სამგლოვიარო სვლა“ ციკლიდან „პოეტური რელიგიური ჰარმონიები“. შერჩეული ნაწარმოები ზედმიწევნით შეესატყვისებოდა დარბაზში გამეფებულ განწყობილებას.

საგანგებოდ მინდა შევჩერდე საღამოს წამყვანზე საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის რექტორზე და, სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, სხვა უამრავი რეგალიებისა და წოდებების მფლობელ მამა ადამზე (ახალაძე). ესოდენ მაღალი სასულიერო პირის, პოეტის, მეცნიერის, ფილოსოფოსის, საზოგადო მოღვაწესთან შეხვედრა საზოგადოებისთვის არასდროსაა ინტერესმოკლებული. სწორედ ეს განცდა დაეუფლა აუდიტორიას. მამა ადამის ინტელექტმა, კეთილგანწყობამ, გულის სიღრმიდან ამოზრდილმა სითბომ და კაცთმოყვარეობამ დიდების შარავანდებით შემოსა ერის სახელოვანი შვილების გახსენება, განგვაცდევინა დღევანდელი წარმატებების გაცნობის სიხარული.

საღამოს დასასრულს რატომღაც წარმოვიდგინე, რომ გენო კალანდია ჩვენს შორისაა და სამადლობელი სიტყვა თავისი ერთერთი ბოლო შედევრით დაასრულა:

„უფალო, როცა განაჩენს წერდი,
როცა პოეტებს ჩუქნიდი ვარდებს,
ის ლოცულობდა სამშობლოს ბედზე
დამწუხრებული და როგორც დანტეს,
ესიზმრებოდა მშობელი მხარე
ამოქარგული ბულბულის ყელით,
ის ხევისბერის ნატრობდა სახელს
და მტერს მისდევდა ზღვითა და ხმელით“.

ვაჟა ძიგუა
თეატრმცოდნე

ამონარიდები თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ არნოლდ გეგეჭყორის გამოხმაურებიდან

26 ოქტომბერს აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრში დიდებული საღამო გაიმართა... ინიციატორი იყო აფხაზი ქალბატონი სვეტლანა ქეცბა

თამაზ ტყემალაძისეული დამამაგნიტებელი თხრობა ილია ჭავჭავაძეზე, როგორც ერის გამამთლიანებელზე,.. სალიტერატურო ენის რეფორმატორზე... - პოეზიის სტრიქონებივით ისმოდა, ბატონი დიმა ჯაიანისეული და მაკა ჯოხაძისეული პოეტური სტროფები - მუსიკის უჩვეულო ჰანგებად, ხოლო ფორტეპიანოსთან მიმსხდართა - გიორგი შავერზაშვილი, გიორგი გიგაშვილი (ვუნდერკინდი!) - ეთერში დაფრქვეულ ჰანგებს მსმენელი ირრეალურ სამყაროში გადაჰყავდა.

... მოგონებები ღვთიური ნიჭით დაჯილდოებულ გენო კალანდიაზე. ორატორს ორატორი ენაცვლება (მარინე ტურავა, თეიმურაზ შაშიაშვილი...). იყო ცრემლები... დიდი გენოს ღიმილიანი სახის გახსენებით, მისი ლირიკით, განსაკუთრებით პოეტის ბოლო შედევრით - „საგალობელი უფლისთვის“ გამოწვეული...

... „მსგავსი საღამოს სულისკვეთება მთელმა საქართველომ უნდა გაითავისოს, თუნდაც ერთი არსებითი მიზეზის გამო: ამ კამერულმა, ინტიმურმა შეხვედრამაც დაადასტურა - ქართულ გენს, ჯიშს გადაშენება არ უწერია!“ - ასეთი იყო დამაგვირგვინებელი აზრი-აკორდი აფხაზი ქალბატონის ინიციატივით მოწყობილი შეხვედრისა...

„საგალობელი უფლისთვის“ - საავტორო საღამო მიჰყავდა მაღალ სასულიერო პირს. საღამოს შესატყვის განათლებულ პიროვნებას მამა ადამს (ახალაძეს). შეხვედრას ესწრებოდნენ აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლები, აფხაზეთის უნივერსიტეტის პროფესურა, თბილისის შემოქმედებითი სფეროს არაერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი და, ცხადია, დიდი შემოქმედის ოჯახის დამწუხრებული, მაგრამ საღამოს მსვლელობით ფრიად კმაყოფილი წევრები, ახლო ნათესავები...

„არ დაუჯეტო საქართველოს პონტის ჯარები...“

როცა მეოცე საუკუნის ლიტერატურულ პერიპეტიებს დავაკვირდებით, გარდასულ პოეტურ ფორმებსა და სტრუქტურებზე ყურადღებას შევაჩერებთ, აუცილებლად თავს შეგვახსენებს ირაკლი აბაშიძის შემოქმედებით-ლიტერატურული ბიოგრაფია. აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ ხელოვანი თავად ქმნის თავისსავე შემოქმედებით პორტრეტს. პოეტი და აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძეც ათეული წლების მანძილზე სიტყვას და კალამს მსახურობდა. სრულად გააზრებული ჰქონდა , რომ იმ ეპოქაში, როცა ქართული ლექსის მოდერნისტებს ხმამაღლა ჰქონდათ განაცხადი გაკეთებული პოეზიის აუცილებელ სრულყოფაზე, როცა გალაკტიონს, საუკუნოვან მეფე-პოეტს, ხელისგულზე ელაგა ქართული ლექსის რითმა და რიტმი, თამამ ნათქვამად აღიქმება ირაკლი აბაშიძის ცნობილი თეზა: „მე უნდა დავრჩე მგოსანი ქვეყნად“...

ირაკლი აბაშიძე რეალიზმთან წილნაყარი პოეტია და მის შემოქმედებაშიც, მკვლევართა მიერ, რამდენიმე ეტაპი გამოიკვეთება. გურამ ასათიანის შეხედულებით , „ირაკლი აბაშიძის ახალგაზრდულ ლექსებში მკვეთრად იგრძნობა ყველა ტენდენციის ზემოქმედება... თავისი შინაარსის და ფორმის სპეციფიკით ეს ლექსები დროის საყურადღებო პოეტურ დოკუმენტებს წარმოადგენენ“. პოეტი თავისი ქვეყნის ბედის მოზიარეა. ის არ გაურბის მიმდინარე ისტორიულ მოვლენათა ასახვას და საკუთარი გრძნობისა და ემოციის გაღებას არ ერიდება. „კაპიტანი ბუხაიძისა“ და „ოდიშის პლანტაციების“ ავტორი არაერთგზის გვევლინება ლირიულ ემბაზში განბანილი პოეტური სახეებით, ნატიფი და (გაგრძელება მე-6 გვ.)

(დასაწყისი მე-4-5 გვ.) მგრძნობიარე ლექსებით. ფაქიზი გრძნობის, პირადი განცდის გამოხატვის ერთ-ერთ კლასიკურ ნიმუშად თაობები ირაკლი აბაშიძის პოეტურ ხილვას არასოდეს უღალატებენ. ვისაც ლექსთან ფიქრში თოვლობისას ღამე უთევია, ვისაც ტრფობა გულის გულში არ განელებია, უემოციოდ ვერ გაიხსენებს პოეტის ფრაზებს:

„წუხელ თოვდა,
ნეტავ ჩემთან რად არ გაჩნდი,
გენახე და ძილში თბილად დაგეხურე,
მე ავდექი პირველ თოვლში, განთიადში
და ვეძებდი შენს პატარა ნაფეხურებს“...

ირაკლი აბაშიძე, როგორც ყველა შემოქმედი, ლიტერატურის ისტორიას უშეღავათოდ შეენივთა თავისი სამოქალაქო და პატრიოტული ლირიკის შთამბეჭდავი მხარეებით. მიუხედავად იმისა, რომ მას არასოდეს დაჰკლებია თავისი დროის რჩეულ ადამიანთათვის სასურველი რეგალიები, არც კულტურულ-ინტელექტუალური მდგომარეობით მდგარა იმავე დროის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მიღმა, არასოდეს განელებია შექმნის , ძიების და აღმოჩენის სურვილი. ამიტომაც ვხედავთ მას თავის პოეზიაში მაღალ იდეებსა და მატერიებზე ორიენტირებულ პოეტს. დროის წარმავლობა და მარადიულობის გაგება აწვალებს მას და აძლევს მუხტს სხვა რაკურსით შეხედოს ყოფიერს:

„თუ ყველაფერი არის სიზმარი,
თუ ბინდისფერი არის ყოველი,
მაშინ რატომ დგას ეს მცხეთის ჯვარი,
რატომ დგას მაშინ სვეტიცხოველი“.

ულმობლობა ყველა დროისა და ყველა ჟამის სტუმარია. დროს ხშირად ვუძალიანდებით, ვუპირისპირდებით და ვცდილობთ მნიშვნელოვანი, ფასეული არ წაგვგვაროს. ხელოვანის ბედიც დროს შეჭიდებული ღვაწლია. მისი ხელი ქართულ მწერლობასაც დაეტყო ოდითგან. მოვლენათა ობიექტური შეფასება-გაანალიზების წყალობით შერისხულთა დიადი სახეები ჩვენს დროში გადმოსახლდნენ. 20-იანი წლების შავ-ბნელი კადრები წარუშლელ მემატიანედ დარჩა ქართული მწერლობის მეხსიერებას. და ყოველივე და ყოველი, რაც დროს დაუბრუნდა, თავად შემოქმედის, როგორც „მეთეთმეტე ჟამის მუშაკის“ ღვაწლის შედეგია. ჩვენი კლასიკური მწერლობა, როგორც საგანძური, თავისი ოქროვანი სხივმფენარობით, დღესაც აოცებს მაღალი მხატვრული იდეებით შთაგონებულ კაცობრიობას. არ იქნება გადაჭარბება, თუ ამ კონტექსტში ირაკლი აბაშიძის სახელის უკვდავმყოფ შედევრს მოვიაზრებთ. ზემოაღნიშნული ლირიკული განცდების ავტორს, როგორც ჩანს, დიდხანს აწვალებდა მარადიულობას შენივთებული უკვდავი რუსთველის გაბუნდოვნებული სულის ისტორია. ნახევარ საუკუნეზე მეტი გვაშორებს იმ მართლაც გენიალური ქმნილების შექმნიდან დღემდე, როცა ირაკლი აბაშიძემ „რუსთაველის ნაკვალევზე“ გაიარა და ჩინებულ ქართველ მეცნიერებთან, აკაკი შანიძესთან და გიორგი წერეთელთან ერთად, ეზიარა იდუმალებით მოცულ რუსთაველის ფრესკას და საკვირველი წვითა და დაგვით მისი ფერადი ფოტოასლი საქართველოში ჩამოიტანა.

საიუბილეო თარიღი ამ ისტორიული მოვლენიდან- 55 წლისთავი ირაკლი აბაშიძის ლეგენდარული პოეტური საგალობლის შექმნიდან გახდა აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრში გამართული ლიტერატურულ-შემოქმედებითი ღონისძიების მიზეზი. თითქოს იმ დიადი დღეების გამონაშუქი ნათელი ეფინა დარბაზს, სადაც მოკრძალებით გამოხატეს ღირსეული თაყვანისცემა იმ ლიტერატურული ძეგლის მიმართ, რასაც ქართული ენის, მშობლიური დედა-ენის ლექსში განსულიერებული ძეგლი ჰქვია. დიახ, სწორედ ეს კერა, სულიერების და კულტურის კერა უნდა ყოფილიყო მასპინძელი ირაკლი აბაშიძის შემოქმედებით შთაგონებული ხელოვანების, პოეტის ოჯახის წევრების და სხვა მოწვეული სტუმრებისა, რომლებმაც კიდევ ერთხელ მიაგეს პატივი მხატვრული სიტყვით, მუსიკალური აკომპანიმენტით მარად უცვლელ და მარად ახალ პოემას.

საღამოს დეკანოზი ბიძინა გუნია უძღვებოდა. მანვე გახსნა მისასალმებელი სიტყვით და აღნიშნა, რომ „ქართველ კაცს არასოდეს ჩაუმუხლებია წინააღმდეგობების მიუხედავად. არ ვივიწყებთ ჩვენს წარსულს. დიდმა მამულიშვილმა ირაკლი აბაშიძემ შექმნა სულიერი ნაწარმოები, რითაც ყველას გაგვახსენა ჩვენი ქართველობა, სარწმუნოება, მამულიშვილობა. კიდევ ერთხელ გაგვაერთიანა დედა-ეკლესის ირგვლივ“. ამ სიტყვებით გაიხსნა საღამო, რომელიც თემურ ელიავას საფორტეპიანო შესავლით დასაწყისშივე მეტად გამდიდრდა. დარეჯან მახაშვილის საფორტეპიანო ფრაგმენტის ფონზე მსახიობებმა შეგვახსენეს წერილები „პალესტინის დღიურებიდან“. 1960 წლის 24 ოქტომბრით თარიღდება ქართველ მკვლევართა პირველი დღიური პალესტინაში. ირაკლი აბაშიძის ხელით ასე აღიწერება პირველი განცდები, რასაც პროფესიული ოსტატობით ახმოვანებდა მსახიობი ლილი ხურითი: „აგერ თვალწინ ცნობილი ისტორიული იერუსალიმის კედელი ძველ იერუსალიმში. დაინახავ და მაშინვე მოგაგონდება ცნობილი სურათი: „იუდეველთა გოდება იერუსალიმის კედელთან“, აკაკი შანიძეს ახსენდება სიტყვები ბიბლიიდან: „ უკეთუ დაგავიწყდე შენ, იერუსალემ, დავიწყებულ იქნეს მარჯუენე ჩემი“.

აგერ გოლგოთა ...
აგერ აღდგომის ტაძარი...
ქრისტეს საფლავი...
ომარის მიზგითი...
ელეონის მაღალი კოშკი... სიონი... გეთსიმანიის ბაღი... ზეთისხილის მთა“...

აუღელვებლად ძნელი იყო მსახიობების ნინო გოშაძისა და ხატია ხარებავას მიერ წაკითხული ეპიზოდების მოსმენა, სადაც ირაკლი აბაშიძე სასოებით აღწერს რუსთველის ფრესკასთან მიახლოების სასწაულს: „სამასი წელი მაინც იქნება ქართველთაგან აქ არავის უგალობნია... შევდგით ფეხი და თვალებით პირდაპირ ვეძგერეთ კედლის მოხატულობას, ფრესკებს, წარწერებს... და აი, ხელმარცხნივ სვეტზე გაბრწყინდა დიდი შავი ასომთავრული“...

„რუსთაველის ნაკვალევზე“... კარგად მიკარნახა სათაური ჩემი სტრიქონებისთვის ჩემმა წინათგრძნობამ“...- ერთმანეთს ენაცვლებოდნენ მსახიობები ნინო გოშაძე, ხატია ხარებავა, ბექა თურმანიძე, ჯაბა ჯანაშია, ლაშა ჩხვიმიანი და დარბაზიც თითქოს თანამონაწილე გახდა იმ დიდი აღმოჩენის, თითქოს ყველა მათგანმა გაიარა რუსთაველის ნაკვალევზე, ყველა მიუახლოვდა დიდი წინაპრის ნათელმოსილ ფრესკას :

„ შენ აქ ხარ,
აქ ხარ...
შენს კვალზე მავალს
და ზღაპრულ კართან
ახლა რომ ვდგავარ,
მშობელი მიწის ეს მედო ვალი“...

თემურ ელიავას მუსიკალური ჩართვის ფონზე წაიკითხა მსახიობმა ლილი ხურითმა „რუსთაველის ხმა ყრუ ტრამალებში“ და კიდევ ერთხელ გაცოცხლდა გენიალური პოეტის ხატება. ირაკლი აბაშიძის მართლაც უზომოდ დრამატული განცდა პოეტური გრძნობის სისავსით გადმოგვცა მსახიობმა:

- მაშ, რამ?
შენს ფრენას, ფრთა რამ მოკვეცა,
რა წვამ აშკარამ,
რა წვამ ფარულმა?
რამ დაგამარცხა, რამ გადმოგხვეწა?
რუსთაველის ხმა:
- რამ?
სიყვარულმა?

„ხმა ჯვრის მონასტრის გალავანთან“, „ხმა ზეთისხილის ბაღში“, „ხმა თეთრ სენაკში“, „უცნობი მინაწერი პალესტინის ქართულ პერგამენტზე“, „ო, ენავ, ჩემო“, „ხმა სამრეკლოსთან“... ავტორისეული თანმიმდევრულობით იყო შესრულებული სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობისა და ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრების, თბილისის ლიტერატურისა და სოხუმის მოზარდ მაყურებელ[illegible]ეატრ „თეთრი ტალღას“ მსახიობების მიერ. თბილისი[illegible]ნო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორები დარეჯან მახაშვილი და თემურ ელიავა, ასე-

ვე ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტი გივი გიგინეიშვილი ოთარ თაქთაქიშვილის ორატორიის „რუსთაველის ნაკვალევზე“ მუსიკით ეხმიანებოდნენ საიუბილეო განწყობას.

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრს, მის ხელმძღვანელობას მადლიერების სიტყვებით მიმართეს ირაკლი აბაშიძის შვილებმა - ზურაბ და ირინე აბაშიძეებმა. აღნიშნეს პოეტის ურთიერთობა აფხაზეთთან, მეგობრობა აფხაზ და ქართველ პოეტებთან.

„განცდა მქონდა, თითქოს ხელებით ვეხებოდი პალესტინას“, _ ასეთი იყო აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე ვახტანგ ყოლბაიას გამოხმაურება.

ქართველი ერი კვლავაც მრავალგზის აღნიშნავს ქართული ლექსის, ქართული სიტყვის დიადებას, მრავალგზის გაიელვებენ ძვირფასი სახეები ჩვენს გონებაში, ირაკლი აბაშიძის ხმა კი მარად ლოცვასავით გაჰყვება ქართველ ერს და ქართულ სულიერ კულტურას:

„აკმარე ჭირი,
მტრის მონობა,
სპარსი, არაბი,
აშორე ცრემლი,
უსჯულობა.
წარღვნა, ქარაფი,
შენ გევედრები,
შენს დიდ გზაზე
ლოცვით მარები:
არ დაუკეტო საქართველოს
პონტის კარები“.

დარიკო ფიფია
ფილოლოგიის დოქტორი
სულიერი ამაღლების ატმოსფეროში

„აზრნი შენნი შენვე გგვანან“

2017 წლის 6 ნოემბერს, ტელევიზია „ერთსულოვნების“ მთავარ ბიბლიოთეკაში დავესწარით თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ლიტერატურული სალონ „საგულისონის“ მიერ ორგანიზებულ შეხვედრას თბილისის საპატიო მოქალაქე, ცნობილ პედაგოგ, პუბლიცისტ და ლიტერატერატორ თამაზ ტყემალაძესთან.

ბატონი თამაზის საუბრის თემა გახლდათ სამი უდიდესი პიროვნება: პოეტი, პუბლიცისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე : ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ წმიდანად შერაცხული ილია ჭავჭავაძე, „ბუმბერაზი მწერალი, ბუმბერაზი პიროვნება“ - ვაჟა-ფშაველა და გენიალური, ადრე გარდაცვლილი ტატო- ნიკოლოზ ბარათაშვილი. მან საოცარი გულითადობით, თემის ღრმა ცოდნით, უცნობი ისტორიული ფაქტების წარმოჩენით, მათი პირადი წერილების მოშველიებით, დამსწრე საზოგადოებასთან უშუალო დამოკიდებულებით მიმოიხილა ეპოქა, რომელშიც ამ პოეტებს უხდებოდათ ცხოვრება და მოღვაწეობა.

პუბლიცისტის აზრით, ილია ჭავჭავაძეს უდიდესი მიმღეობითი ძალა აქვს. მან ორი გენიოსი აღმოაჩინა ვაჟა- ფშაველა და ნიკოლოზ ბარათაშვილი. ვაჟა-ფშაველა მისთვის ამოუწურავი უზარმაზარი ფენომენია. მან განსაკუთრებით გაუსვა ხაზი პოემა „ბახტრიონს“. მის ულამაზეს ლიტერატურულ ესთეტიკას, რაფინირებულ ლექსიკას... აზროვნების სიღრმეს... საინტერესოდ ისაუბრა ილია ჭავჭავაძის შეხედულებაზე ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ, რომელსაც ის ხელნაწერის სახით გაეცნო პეტერბურგში ყოფნისას... „ვერ წარმოიდგენთ, რა შთაბეჭდილება მოახდინა ამ ლექსებმა ილიაზე, თითქმის ერთი კვირა ყმაწვილი ბოდავდა ბარათაშვილით.“... გაიხსენა ლექტორმა კოხტა აფხაზის სიტყვები. ილიამ პოეტში დაინახა გენიალური, ზოგადსაკაცობრიო აზროვნება და საკუთარ თავთან პირობაც დადო, რომ საქართველოს დაუბრუნებდა გენიოსი პოეტის შემოქმედებას და დაუბრუნა კიდეც.

სასიხარულოა, რომ ბატონ თამაზთან შეხვედრაზე შემოქმედებით ინტელიგენციასთან ერთად იმყოფებოდნენ ახალგაზრდები, რომლებიც დიდი გულისყურით უსმენდნენ. მოსწავლე-ახალგაზრდების უსაზღვრო დაინტერესებამ დაგვარწმუნა, რომ აუცილებელია აფხაზეთიდან დევნილმა მოსწავლე-ახალგაზრდობამაც ნახოს, გაიცნოს, გაითავისოს, გაიაზროს ბატონი თამაზ ტყემალაძის შეხედულებანი ჩვენს გენიალურ წინაპრებზე, მიხვდნენ, თუ ვისი გორისანი არიან... საიდან მოდიან... როგორ უნდა უყვარდეთ სამშობლო... როგორ უნდა ემსახურონ მას .

მედეა ზუხბაია, ლეილა თორია

კულტურათაშორისი დიალოგი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017 წლის 2 ოქტომბერს გაიმართა მრგვალი მაგიდა კულტურათაშორის დიალოგში ქალის როლის თემაზე. მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს იმ მნიშვნელოვან როლს, რომელიც შეუძლია ქალს შეასრულოს კულტურათაშორის და რელიგიათაშორის დიალოგში, რითაც გამყარდება მშვიდობა, სტაბილურობა და თანამშრომლობა მსოფლიოში.

შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს დეკლარაცია, რომელშიც ნათქვამია:

„დღევანდელ მსოფლიოში, როგორც არასდროს, აქტუალურია კულტურათა დიალოგის ცნება. გლობალიზაციის პირობებში ყველასთვის ნათელი ხდება, რომ სხვადასხვა პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული მიმართულებით წარმატებული ურთიერთქმედებისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ენების, არამედ ამა თუ იმ ქვეყნის ხალხთა კულტურული თავისებურებების ცოდნა. კულტურათა დიალოგი უმნიშვნელოვანესია ჩვენი მრავალკონფესიური და მრავალეთნიკური რეგიონისთვის, რომელიც თავისი განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობის გამო ღიაა სხვადასხვა სახის გავლენისთვის, როგორც აღმოსავლეთის , ასევე დასავლეთის მხრიდან....

... ქალის როლი მშვიდობის დამყარებისა და მისი შემდგომი შენარჩუნების პროცესში ძალიან დიდია. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროთაგანი, სადაც ქალები აქტიურად წარმოაჩენენ საკუთარ თავს, ეს არის ზნეობრივი პოლიტიკა, ე. ი არაძალადობრივი პოლიტიკა... დღეს, ზნეობრივი პოლიტიკა - ეს არის კონფლიქტების თავიდან აცილება და მოგვარება ეთნიკურ გარემოსა და ცხელ წერტილებში, ასევე, რეგიონებში უსაფრთხოების დონის ამაღლება ქალთა პოტენციალის გააქტიურების გზით. საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიისთვის მნიშვნელოვანია ისეთი საკითხის გადაჭრა, როგორიცაა, მაგალითად, უსაფრთხოება მთელ მსოფლიოში. ეს შეიძლება ის სფეროა, სადაც ქალ დიპლომატს საკუთარი თავის სრულად გამოვლენა შეუძლია... ქალს შეაქვს ღირსეული წვლილი ოჯახური ღირებულებების დაცვის საქმეში. ამიტომ ქალის მთავარი მისია - ეს არის დიდი გულისა და შეგნების მქონე შვილების აღზრდა, რომლებსაც შეეძლებათ თანაგრძნობა და წუხილი, სიტყვის ძალითა და დიპლომატიით რთული ამოცანების გადაჭრა და კონფლიქტების მოგვარება. ქალური საწყისი ხომ მშვიდობის, სიყვარულისა და სიკეთის საფუძველია...“

შეხვედრაში აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის სახელით მონაწილეობდა ცენტრის თავმჯდომარის მოადგილე, თბილისის წმ. ალექსანდრე ნეველის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი ბიძინა გუნია.

სტუმრად „კათარზისში“

სიტყვები არ მაქვს, არც წერტილები და სამწერტილები...

ჩემთვის ყველაზე დიდ სიტყვაში ნათქვამი დუმილი ხართ! ყველაზე დიდ სიკვდილში მოსული სიცოცხლე..

.წამი ხართ ჩემთვის, დროს რომ ქმნის და ის სევდა, სულში სულის არსებობას რომ მაგრძნობინებს!

დაიბადეთ და დაიბადა ქართველი ერი...

იცით, სანთელი ხართ ჩემთვის, რომელიც იწვის, იწვის და დნობა არ უწერია...

მუხლმოდრეკა ხართ ჩემთვის და ამ მუხლმოყრის თუ დაჩოქების შემწყდარი წამი და გაჩერებული დრო.

აღუწერელი სინათლე და სიწმინდე გქვიათ ჩემში!...

ისეთი დიდი ხართ, ისეთი დიდი, რომ მთელი ცხოვრებაც რომ ვიარო, მაინც ვერ მოვაგნებ თქვენი სახის ნაოჭებზე წერტილს.

ისე მინდა ავწიო ჩემი ცოდვით და სისხლით, სამყაროს მრუშობით, მკვლელობითა და ჩემით გათხვრილი ხელები და შეგეხოთ... მაგრამ ეს შეხებაა ყველაზე დიდი ძალა, რომელიც არ მაქვს!..

ადამიანის ცოდვით დაცემის პირველი დღიდან დღემდე, ამ 21 საუკუნის ცოდვებს ვამბობ და ვგრძნობ, სამყაროს რომ ატრიალებთ თქვენში!...

თქვენ ხართ სიკვდილის დამმარცხებელი ძალა, რომელმაც წინ ჩამიარა და მოვკვდი... წინ ჩამიარეთ და მოკვდა ჩემში ნანა. მკვდარი მოკვდა ოღონდ! უსიცოცხლო მოკვდა ოღონდ, რადგან ჩემი სიცოცხლე სიკვდილს უფრო ჰგავს და

სად შეუძლია ამდენ სიკვდილს თქვენამდე მოსვლა...

ერთ ნაბიჯში მყავდით, აქ, ჩემთან, წინ ჩამიარეთ და ჰაერში გამიშეშდა ისედაც ვერაწეული ხელები და შემრცხვა საერთოდ, რომ გავიფიქრე, ამეწია ხელები და შეგეხებოდით. ვის?! თქვენ?..

მაშინ მივხვდი, რომ თქვენი სულის ზღვაში ვერ შეცურავდა ჩემი ნავი... რომ თქვენს სიტყვებსა და სიწმინდეს ვერ დაიტევდა ჩემში გაჩერებული დრო, რომ ვერ მოვიდოდი თქვენს თვალებამდე და რომ ვერ დავიწყებდი თქვენს თვალებში თქვენს თვალებზე ლოცვას.

მივხვდი, რომ ის სიცოცხლე ხართ, რომლითაც, და სიტყვა ხართ, რომელსაც ვწერთ...

წარმოვიდგინე წამით, როგორ ახლო იყავით უფლისთვის და იცით, რა მომინდა? მომინდა, რომ შემძლებოდა უფლისთვის იმაზე მეტად გამეღო კარი, ვიდრე ვუღებ, რომ თუნდაც წამით მაინც ნაგრძნობზე უფრო გრძნობით მეწამა სიტყვა, რომელიც იყო ღმერთთან და რომელიც იყო ღმერთი!

მე მადლობას გიხდით, რომ ჩვენს ცოდვებს იტევთ, რომ ღვთისმშობლის ლოცვაზე ტირით და რომ ეს თქვენი ცრემლებია ყველაზე დიდი და წმინდა ლოცვა...

მადლობას გიხდით იმისთვის, რომ გალობთ და ამ გალობით ვხვდები, თუ რატომ ვიღლები და რატომ მინდა, უფალი მოვიდეს ჩემთან!...

გმადლობთ, უფლის წინაშე რომ იჩოქებთ და სთხოვთ, რომ გვაპატიოს, მოგვიტევოს, შეგვინდოს!..

მადლობას გიხდით იმისთვის, რომ მე ახლა თქვენზე ვწერ. ვწერ, ვტირი და მიხარია...მიხარია ჩემი ცრემლებიც და ისიც, რომ ვხვდები, ცასთან ახლოს რომ ხართ!

მადლობა, რომ სადღაც ჯერ კიდევ გჯერათ ჩვენი, რომ გვიძლებთ და გვიტანთ!

იცით, ისევ წინ რომ მყავდეთ, ერთ ნაბიჯში რომ იყოს თქვენი სინათლე ჩემგან,

ვერ მოგწვდებოდით მაინც! მე თქვენ როგორ შეგეხებით თითებით?!

უბრალოდ, გავჩუმდები, გავირინდები და მომინდება ისე, როგორც ახლა მინდა, ჩავრგო თქვენს კალთაში თავი და ვიტირო! ჩავრგო თავი და უსასრულოდ, ლოცვით, ჩურჩულით, ხვეწნა-მუდარით გთხოვოთ პატიება...

ჩავრგო თავი და გითხრათ, რომ თქვენ ჩემთვის ის ერთადერთი სიტყვა ხართ,

რომელსაც მილიონობით ფურცელიც კი ვერ დაიტევს და დრო... დრო, რომელიც წამებსა და წუთებს გვწირავს!..

ნანა გეგეჭკორი
ჟურნალისტიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებული

საეკლესიო კალენდარი

1 იანვარი (ორშ.), სულთმოფენობიდან 31-ე შვიდეული,
- ღირ. მამის გიორგი მწერლის და მისი ძმის საბას ხსენება (XIწ.);

2 იანვარი (სამშ.), ქრისტეშობის წინადღესასწაული:
- მღვდელმოწამე ეგნატე ღმერთშემოსილის ხსენება (107წ.);
- მართალ იოანე კრონშტადტელის ხსენება (1908წ.);

3 იანვარი (ოთხშ.), ქრისტეშობის წინადღესასწაული:
- წმ. მამის მაკარი მმარხველის (ხახულის მონასტრის წინამძღვრის) ხსენება (XIს.);
- მრავალვნებულისა ანტონ II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა (1811წ.);

4 იანვარი (ხუთშ.), ქრისტეშობის წინადღესასწაული:
- დიდმოწამე ანასტასიას ხსენება (304წ.);

5 ინვარი (პარ.), ქრისტეშობის წინადღესასწაული:
- ათთა კრეტელთა მოწამეთა ხსენება (წირვას არ უჩენს).

6 იანვარი, ქრისტეშობის წინა შაბათი. წმ. იოანე ოქროპირის წირვა.

7 იანვარი (კვ.) - <u>ქრისტეშობა!</u> წმ. ბასილი დიდის წირვა.
(ხსნილია ყოველითურთ 17 იანვრის ჩათვლით)

8 იანვარი (ორშ.), სულთმოფენობიდან 32-ე შვიდეული. ქრისტეშობის შემდგომი დღესასწაული.
- კრება ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელისა;
- მართალ იოსებ დამწინდველის, დავით მეფის, ფსალმუნთა მთქმელისა და უფლის ძმის, იაკობის ხსენება.

9 იანვარი (სამშ.)- ღირ. სტეფანე ხირსელის ხსენება (VIს.);

11 იანვარი (ხუთშ.) - ათოთხმეტ ათასთა ჩვილთა მოწამეთა, ჰეროდეს მიერ ბეთლემს მოწყვეტილთა ხსენება (Iს.);

13 იანვარი, ქრისტეშობის შემდგომი და ნათლისღების წინა შაბათი.
- ქრისტეშობის დღესასაწაულის წარგზავნა;
- ღირ. საბიანას (სამცხის დედათა მონასტრის წინამძღვრის) ხსენება;

14 იანვარი (კვ.) - <u>წინადაცვეთა უფლისა,</u>
- წმ. ბასილი დიდის (კესარია-კაპადოკიის მთავარეპისკოპოსის) ხსენება (379წ.);

15 იანვარი (ორშ.), სულთმოფენობიდან 33-ე შვიდეული.
- ღირ. სერაფიმე საროველის ხსენება (1883წ.);

16 იანვარი (სამშ.) - წმ. ექვთიმე ღმრთისკაცის (თაყაიშვილის) ხსენება (1953წ.);

17 იანვარი (ოთხშ.) - კრება წმიდათა სამოცდაათთა მოციქულთა (Iს.);
- ღირ. შიომღვიმელ მოღვაწეთა ხსენება;

18 იანვარი (ხუთშ.), ნათლისღების წინა დღე. მარხვა;
19 იანვარი (პარ.) - ნათლისღება! (ღმრთისგანცხადება)
დიდი აიაზმა (წყლის კურთხევა). წმ. იოანე ოქროპირის წირვა.
20 იანვარი, ნათლისღების შემდგომი შაბათი.
- კრება წმიდისა დიდებულისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანესი;
21 იანვარი, ნათლისღების შემდგომი კვირა
- დიდმოწამე აბო ტფილელის ხსენება (786წ.);
23 იანვარი (სამშ.), სულთმოფენობიდან 34-ე შვიდეული.
- წმ. გრიგოლის, ნოსელ ეპისკოპოსის ხსენება (394წ.);
24 იანვარი (ოთხშ.) - ღირ. თეოდოსი დიდის ხსენება (529წ.);
26 იანვარი (პარ.) - ნათლისღების დღესასწაულის წარგზავნა;
27 იანვარი (შაბ.) - მოციქულთა სწორის, ქართველთა განმანათლების წმ. ნინოს ხსენება.
ნინოობა!
28 იანვარი, მეზვერისა და ფარისევლის კვირა.
- წმ. სალომე უჯარმელისა და პეროჟავრა სივნიელის ხსენება;
29 იანვარი (ორშ.) - წმ. პეტრე მოციქულის პატიოსანთა ჯაჭვთა თაყვანისცემა;
30 იანვარი (სამშ.) - ღირ. ანტონი დიდის ხსენება (356წ.);
31 იანვარი (ოთხშ.) - მიცვალება ქართველთა კეთილმორწმუნისა მეფისა თამარისა.
- ღირ. ეფრემ მცირის (ფილოსოფოსის) ხსენება (1101წ.);
- ღირ. ალექსი მღვდელმონაზონის (შუშანიას) ხსენება (1923წ.);
- წმ. ათანასესი (373წ.) და კირილეს (444წ.) (ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსთა) ხსენება.

---

1 თებერვალი (ხუთშ.) - ღირ. ანტონ მარტყოფელის ხსენება (VIს.);
- ღირ. მაკარი დიდის (ეგვიპტელის) ხსენება (390-391წ.);
2 თებერვალი (პარ.) - წმ. ექვთიმე აღმსარებლის (კერესელიძე) ხსენება (1944წ.);
- ღირ. მაქსიმე ბერძენის ხსენება (1556წ.);
3 თებერვალი (შაბ.) - ღირსი მაქსიმე აღმსარებლის ხსენება (662წ.);
4 თებერვალი, უძღები შვილის კვირა
- მოციქულ ტიმოთეს ხსენება (დაახ. 96წ.);
5 თებერვალი, ხორციელის შვიდეული. ორშაბათი.
- მღვდელმოწამე კლიმენტისა და მოწამე აგათანგელოზის ხსენება (312წ.);
6 თებერვალი (სამშ.) - წმ. მელქისედეკ I, საქართველოს პირველი კათოლიკოს-პატრიარქის, სვეტიცხოვლის განმაახლებლის ხსენება (XIს.);
7 თებერვალი (ოთხშ.) - წმ. გაბრიელის, იმერეთის ეპისკოპოსის ხსენება (1896წ.);
- წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველის, კონსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსის ხსენება (389წ.);
8 თებერვალი (პარ.) - წმ. კეთილმსახური მეფის დავით აღმაშენებლის ხსენება (1125წ.);
9 თებერვალი (ხუთშ.) - წმ. იოანე ოქროპირის ნაწილთა აღმოყვანება (438წ.);
10 თებერვალი, ხორციელის შაბათი. მიცვალებულთა ხსენება.
-ღირ. ეფრემ ასურის ხსენება (373-379წ.);
11 თებერვალი, ხორციელის კვირა (საშინელი სამსჯავროს ხსენება).
- მოწ. აშოტ დიდი კურაპალატის ხსენება (829წ.);
- მღვდელმოწამე ეგნატე ღმერთშემოსილის ხსენება (107წ.);
12 თებერვალი, ყველიერის შვიდეული. ორშაბათი.
- წმ. შორის მამათა ჩუენთა და დიდთა მღვდელმთავართა: ბასილი დიდის, გრიგოლ ღმრთისმეტყველისა და იოანე ოქროპირის ხსენება;
13 თებერვალი (სამშ.) - უვეცხლოთა მოწამეთა კვიროსისა და იოანეს ხსენება (311წ.);
15 თებერვალი (ხუთშ.) - მირქმა – მიგებება უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი;
- ღირ. შიო მღვიმელის ხსენება (VIს.), შიოობა;
16 თებერვალი (პარ.), მიგებების შემდგომი დღესასწაული.
- მართალ სვიმეონ ღმრთისმიმრქმელის და ანა წინასწარმეტყველის ხსენება;
17 თებერვალი (შაბ.) - ღირ. ევაგრეს (ღირ. შიო მღვიმელის თანამოღვაწის) ხსენება (VIს.);
18 თებერვალი, ყველიერის (მიტევების) კვირა (სამოთხიდან ადამის განდევნის ხსენება).
დიდი მარხვის აღება!
- მოწამე აღათიას ხსენება (251წ.
19 თებერვალი, დიდი მარხვის I შვიდეული. ორშაბათი.
დიდი მარხვის დასაწყისი!
- ღირ. არსენ იყალთოელის ხსენება (1127წ.);
20 თებერვალი (სამშ.) - წმ. მეფის სოლომონ II (სამშობლოსათვის თავდადებულის) ხსენება (1815წ.);
21 თებერვალი (ოთხშ.) მიგებების დღესასწაულის წარგზავნა.
- დიდმოწ. თეოდორე სტრატილატის ხსენება (319წ.);
22 თებერვალი (ხუთშ.) - ღირსი გაბრიელ სალოსის ნაწილთა აღმოყვანება (2014წ.)
23 თებერვალი (პარ.) - ღირ. იოანე ჭიმჭიმელის, ფილოსოფოსის ხსენება (XIIIს.);
24 თებერვალი (შაბ.) - ღირსი ნინოს, სამთავროს მონასტრის განმაახლებლის ხსენება (1839წ.);
25 თებერვალი, დიდი მარხვის I კვირა. მართლმადიდებლობის ზეიმი!
- ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატის დღესასწაული;
- წმ. პროხორე ქართველის ხსენება 9XIს.);
- წმ. ლუკა იერუსალიმელის (მუხაიძე) ხსენება (1277წ.);
- მოწ. ნიკოლოზ დვალის ხსენება (1314წ.);
26 თებერვალი, დიდი მარხვის II შვიდეული. ორშაბათი.
- ღირ. მარტინიანეს ხსენება (Vს.);
27 თებერვალი (სამშ.) - ღირ. მღვდელმონაზონის ილარიონ ქართველის (ყანჩაველი 1864) ხსენება;
28 თებერვალი (ოთხშ.) - მოც. ონისიმეს (სამოცდაათთაგანის) ხსენება (დაახ. 109 წ.).

გამოსათხოვარი

„წავიდა, გაქრა, გაუჩინარდა...” გამოთხოვება დიმა ჯაიანთან

მშვიდი, ემოციის გარეშე დიმიტრი ჯაიანი იშვიათად გვინახავს, აბობოქრებული ზღვის მოდგაფუნე ტალღებს მოგვაგონებდა. მუდამ ვიღაცას აქტიურად ეკამათებოდა, თუნდაც უმნიშვნელო მოვლენასთან დაკავშირებით ისე შეეძლო აღელვებულიყო, იფიქრებდით, მისი ცხოვრების აზრი ამაშიაო ჩაქსოვილი. სიხარულის გამოხატვაც ზეაწეული მანერით უყვარდა, რაც საოცრად უხდებოდა მის არტისტულ ბუნებას. ზოგს, რომელიც ნაკლებად იცნობდა ბატონ დიმას, მოეჩვენებოდა, რომ „თამაშობს“, მაგრამ სინამდვილეში ხომ ასე არ იყო! იგი თხემით ტერფამდე გულწრფელი გახლდათ შექებაშიც და წყენის გამოხატვაშიც.

თავის სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული იყო. სადაც კი მიეცემოდა შესაძლებლობა - სცენაზე, სუფრასთან ... ბოლომდე იხარჯებოდა, მძაფრი ემოციებისგან ცრემლმომდგარი მადლობას სწირავდა ზენაარს, რომ ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოს შვილი იყო.

დიმიტრი ჯაიანი ამაყობდა თავისი ჯიშის, გენის წარმომავლობით, გვარიშვილობით. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სხვაზე მაღლა აყენებდა თავს, საერთოდ ქართველობა ეამაყებოდა. ბოლო დროს მუდმივი ტკივილი თან დაჰქონდა მშობლიური აფხაზეთის ტრაგიკული ბედის გამო - ვაგლახ, რომ თან გაიყოლა სოხუმში დაბრუნების ოცნება.

ძალიან გვიმძიმს ბატონ დიმასთან გამოთხოვება. ის ჩვენთან, როგორც ახლობელ ადამიანებთან, ისე შემოდიოდა. თითქმის ყველა ღონისძიებაში მონაწილეობდა და თავისი მჩქეფარე ტემპერამენტით სიცოცხლის რწმენას გვინერგავდა. ვინ იფიქრებდა, რომ ესოდენ მოულოდნელად, მოვარდნილი მეწყერივით გადაინაცვლებდა მარადისობაში.

სულ ახლახანს, ილია ჭავჭავაძის 180 წლისთავის აღსანიშნავ საღამოზე თავისი მეგობრის, ილია ჭავჭავაძის პრემიის ლაურეატ გენო კალანდიას ლექსები წაგვიკითხა კრებულიდან „საგალობლები უფლისთვის“. აი, ერთ-ერთი ამ ლექსთაგანი:

„უფალო, მინდვრის გვირილას ჰგავდა,
ჩამავალი მზის ნათელით დაღლილს,
ის მიყვებოდა რუსთველის გამზირს
ზღვის ყვავილივით პატარა ჩანთით.

წავიდა, გაქრა, გაუჩინარდა -
ბედდაწყევლილი დაია ჩემი,
ის ზემო ბზიფის გვირილას ჰგავდა
ფიქრით, ოცნებით და გულისცემით.“

თითქოს წინათგრძნობის რაღაც ფატალური ზმანება მიეგება ხელოვანს... გავიდა ცოტა ხანი და ისიც „წავიდა, გაქრა, გაუჩინარდა...“

ხათუნა ჭურღულიასადმი მიძღვნილ გენო კალანდიას ამ ლექსთან დაკავშირებით წარმოთქმული ბატონი დიმას კომენტარი - „არ მეგულება სოხუმელი კაცი, რომელიც ხათუნას პატივს არ მიაგებდა, დილით, საღამოს თუ შუადღეს ნახვისას გულში არ ჩაიკრავდა, როგორც უძვირფასეს, როგორც მოსაფერებელ ადამიანს“ - დღეს ჩვენთვის სხვა მნიშვნელობას იძენს. ის ხომ თავად იყო ასეთი!

ძალიან მოგვენატრები !...ეს სიტყვები ისეთივე გულწრფელია, როგორი გულღია და სითბოს უხვად გამცემი იყავი ჩვენო განუმეორებელო დიმა.

ცენტრის თანამშრომლები

„არ დაუკეტო საქართველოს პოეტის კარები...“

კულტურათაშორისი დიალოგი

გერგეტის ყოვლადწმიდა სამების ტაძარი

ISSN 2298-0865

სარედაქციო კოლეგია: სვეტლანა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია),
ლია სეხნიაშვილი, ნოდარ სილაგაძე, ირინა ქეცბა
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცინო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“
მისამართი: თბილისი, თოფურიას ქ. №12, ტელ.: 231-51-30, 599-05-96-11. ტირაჟი: 500 ცალი